



მშენებლობის

სანებართვო მოწმობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის -----

-----სამსახური

სამსახურის დასახელება

ნებართვა № -----

ნებართვის გაცემის თარიღი: ----- 20 წელი

მშენებლობის დაწყების თარიღი: ----- 20 წელი

ნებართვა ძალაშია 20 წლის ----- დან

20 წლის ----- მდე

დამკვეთი: -----

(დასახელება)

(მისამართი)

მშენებლობის ობიექტი: -----

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

(მისამართი/ადგილმდებარეობა)

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია: -----

(შეთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა: -----

----- მიერ.

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება)



## **მშენებლობის სანებართვო მოწმობის გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულება**

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმების გამოყენებას და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესის საფუძველზე.

### **მუხლი 2. სანებართვო მოწმობის აღწერილობა და მომარაგება**

1. სანებართვო მოწმობა წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას და აქვს შემდეგი დამცავი ნიშნები:

- ა) ნომერი;
- ბ) დამცავი ბადე;
- გ) უხილავი საღებავი.

2. სანებართვო მოწმობის ფორმების შეკვეთა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ პოლიგრაფიულ საწარმოში.

3. პოლიგრაფიული საწარმოდან სანებართვო მოწმობის ფორმების გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა.

### **მუხლი 3. სანებართვო მოწმობის ფორმების შენახვა**

1. სანებართვო მოწმობის ფორმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

2. სათავსი, სადაც ინახება სანებართვო მოწმობის ფორმები, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

3. სანებართვო მოწმობის ფორმები ინახება ამ ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან.

### **მუხლი 4. სანებართვო მოწმობის ფორმების შევსება**

1. სანებართვო მოწმობის ფორმების შევსება წარმოებს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. სანებართვო მოწმობის ფორმების შევსება წარმოებს შავი ფერის ბურთულიანი კალმით.

### **მუხლი 5. სანებართვო მოწმობის რეგისტრაცია**

შევსებული ფორმების შესახებ ინფორმაცია ნებართვის გამცემს შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.

### **მუხლი 6. სანებართვო მოწმობის ფორმების გაცემა**

1. სანებართვო მოწმობის ფორმების გაცემა მფლობელზე წარმოებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

2. სანებართვო მოწმობის ფორმების გაცემა მესამე პირზე ხდება ნებართვის მაძიებლის მიერ გაცემული მინდობილობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში (მინდობილობა რჩება ადგილზე).

3. ნებართვის მაძიებელი ან მესამე პირი ხელმოწერით ადასტურებს სანებართვო მოწმობის მიღების ფაქტს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.

4. გაცემული სანებართვო მოწმობების ქსეროასლი დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ ინახება შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტებთან ერთად.

#### **მუხლი 7. სანებართვო მოწმობის დუბლიკატების გაცემა**

1. სანებართვო მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური გაცემს დუბლიკატს.

2. გაცემულ დუბლიკატს დაესმება შტამში აღნიშვნით „დუბლიკატი“, სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედას.

3. ნებართვის გამცემს დუბლიკატის გაცემის შესახებ ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში გადაწვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

#### **მუხლი 8. გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ჩამოწერა**

1. გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის (დანართი №3) მიხედვით, გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის (დოკუმენტების) ჩამოწერის აქტში.

3. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქტი №

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის-----

(სამსახურის დასახელება)

"-----" "-----" 20 წ.

გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის შესახებ

№	საქმეთა დასახელება	რაოდენობა	ფორმის ექსკლუზიური ნომრები
1	2	3	4

ხელმოწერით ვადასტურებთ უვარგისი სანებართვო მოწმობების ჩამოწერის სისწორეს.

ფორმების გამოყენებასა და  
აღრიცხვა -ანგარიშგებაზე  
პასუხისმგებელი პირი: